



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №2/223-18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- წარმომადგენლის --- 2018 წლის 11 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 2 ნოემბრის №144/223-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 25 დეკემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ პირად ინტერესებზე დაყრდნობით მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება და გააუქმა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 21 ივნისს, მოსარჩელე --- წარმომადგენელმა --- სასარჩელო განცხადებით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე --- და მესამე პირების ---, ---, --- და --- მიმართ; მოსარჩელემ 2001 წლის 2 ნოემბრის პირველადი რეგისტრაციის ბათილად ცნობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14 თებერვლის №-- რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების, --- 2017 წლის 27 იანვრის №-- წერილის და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმის №-- ბათილად ცნობა მოითხოვა. ასევე, სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 30-ე მუხლების თანახმად, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №-- რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №-- რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2017 წლის 23 ივნისის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში. 2017 წლის 08 აგვისტოს განჩინებით სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს -- არქივიდან გამოთხოვილ იქნა, -- -- 1986-2007 წლების საკომლო წიგნებიდან ინფორმაცია: -- -- კომლის შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია -- -- (--) კომლის შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. განჩინების შესრულება დაევალა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს -- არქივს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №-- შეჩერდა საქმის წარმოება მოსარჩელე -- -- უფლებამონაცვლის დადგენამდე; საქმის წარმოება შეჩერდა ექვსი თვის ვადით. 2017 წლის 28 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ 2017 წლის 28 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, -- -- დამ -- -- მიიღო სამკვიდრო მასში შემავალი აქტივებითა და პასივებით. იგი წარმოადგენდა -- -- მემკვიდრეს, უფლებამონაცვლეს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით განახლდა №-- ადმინისტრაციული საქმის წარმოება მოსარჩელე -- -- კანონიერი მემკვიდრე -- -- სარჩელის გამო, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და -- -- და მესამე პირების -- -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- უფლებამონაცვლის -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება, რომლითაც შეჩერდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №-- რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 29 აგვისტოს. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის

საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- უფლებამონაცვლის -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება, რომლითაც შეჩერდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №-- რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- წარმომადგენლის -- -- 2018 წლის 11 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

-- -- წარმომადგენლის -- -- 2018 წლის 11 სექტემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი